ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური დაცვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 070403

ქვეპროგრამის დასახელება:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	45 000
სულ ბიუჯეტი:	45 000

ქვეპროგრამის მიზანი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის აღწერა:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა სავარძელ-ეტლით უზრუნველყოფა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის მეშვეობით. გადაწყვეტილებას მოქალაქის დაფინანსების შესახებ ღებულობს შესაბამისი კომისია, რომელიც იქმნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. ქვეპროგრამის ფარგლებში სავარძელ-ეტლის გაცემისას უპირატესობა ენიჭებათ 18 წლამდე ასაკის ბავშვებსა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მოქალაქეებს. ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს: - ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს სავარძელ-ეტლის აუცილებლობა; - პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია; - ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში); - შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი (არსებობის შემთხვევაში) ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირებზე სავარძელ- ეტლების გაცემა, მორგება, გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევა, საგარანტიო მოსახურება	150	300	45 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			45 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა კომისიაზე		X	X	X
ვაუჩერების გაცემა		X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციართა გადაადგილების მოთხოვნის დაკმაყოფილება

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ბენეფიციართა სოციალური პირობების ნაწილობრივი გაუმჯობესება, გადაადგილების მოთხოვნის დაკმაყოფილება	ბენეფიციარების რაოდენობა	150	სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	სოციალური დაცვის დეპარტამენტი	სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების შესწავლა